პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 აგვისტო კვირა 1970 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 202 (14806)

XXIV

შეენთვის, საყვარელო სამშობლოს ბრწყინვალე ოქტომბერს

50

გეგმის გადამეტებით

კასპი. (საკ. კორ.). ცემენტის ქარხნის მუშამოსამსახურეებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის შესახვედრად. შედეგები ცუდი როდია. ქარხნის კოლექტივმა შვიდ თვეში საშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 6 ათას 738 ტონა ცემენტი, 654 ათასი პირობითი ფილა შიფერი, 2382 კუბმეტრი ბლოკი. პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებელმა 103,1 პროცენტს გადააჭარბა.

ტვირთზიდვა იზრდება

ზუგდიდი. (საკ. კორ.). პარტიის XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევს ზუგდიდის № 2 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა. კანტორის მუშაკებს 7 თვეში გეგმით უნდა გადაეზიდათ 216,7 ათასი ტონა სხვადასხვა ტვირთი, ავტოტრანსპორტელებმა გადაზიდეს 226,1 ათასი ტონა ტვირთი და გეგმა 102,7 პროცენტით შეასრულეს.

ზეიმი ყაზახეთში

სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია ალმა-ატაში

რუსეთის და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იყო სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია ალმა-ატაში 29 აგვისტოს.

ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი საზეიმოდ არის მორთული. აქ შეიკრიბნენ ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, მინდვრებისა და ფერმების მშრომელები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი. მათთან ერთად არიან მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები, მოსკოვისა და ლენინგრადის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაციათა წევრები.

მოედანზე და მის მომიჯნავე ქუჩებში ჩამწკრივებულან ალმა-ატის გარნიზონის ჯარები.

...დილის 10 საათია. ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ბ. ნიაზბეკოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. აშიმოვი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, დღესასწაულობაზე ჩამოსულ დელეგაციათა მეთაურები. მათ მხურვალე ტაშით სვდებიან. აქვეა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაცია სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშალ ა. ა. გრეჩკოს მეთაურობით.

შუა აზიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ნ. ზ. ლეშჩენკო იბარებს პარადის სარდლის პატაკს და ულოცავს მეომრებს ყაზახეთის სსრ და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის სახელოვან იუბილეს.

სხვადასხვა გვარეობის ჯარების ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა, მერაკეტეებმა, არტილერისტებმა, ტანკისტებმა, მოტომსროლელებმა, მედესანტეებმა — მონაწილეობა მიიღეს პარადში, გამოავლინეს ჩინებული საბრძოლო გაწვრთნილობა.

დამთავრდა სამხედრო მარშები. მოედანზე შემოდიან საღღესასწაულო დემონსტრაციის მონაწილენი.

კოლონის წინ მოაქვთ წითელი დროშა, რომელზეც ვ. ი. ლენინის პორტრეტია გამოსახული. მოტოციკლებზე სხედან ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მედროშენი. მათ მოაქვთ სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ალმები. რესპუბლიკის სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი გზის სიმბოლოა ყაზახეთის სსრ ალმი, რომელზეც გამოსახულია ყაზახეთისათვის მინიჭებული ლენინის ორდენი და ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

მოედანზე თითქოს გაცოცხლებულა წარსულის გმირული ამბები. ჩვენი ქვეყნის ისტორიის, ყაზახეთის ისტორიის ყველა ეტაპი ბისახა მკაფიო, შთამბეჭდავ სახალხო მსვლელობაში.

მოედანზე შეკრებილნი მხურვალე ტაშს უკრავენ რევოლუციის ფეტერაწეს, იმათ, ვინც დიდი ლენინის ხელმძღვანელობით იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ხოლო უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში იცავდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას.

მოედანზე არიან დიდი სამამულო ომის მონაწილენი. მათ შორის — საბჭოთა კავშირის გმირები, დიდების ორდენის სრული კავალრები. მათ უკან დგანან „მამათა დიდების გზით“ ლაშქრობის მონაწილეთა რაზმები. ისინი საოთად ინახავენ ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირთა სსოვნას. მამების საქმეს ღირსეულად გააგრძელებენ შვილები.

მოდიან მშრომელთა ახალ-ახალი კოლონები — ისინი, ვინც თავის ძალასა და ცოდნას ახმარდა და ახმარს ყაზახეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. მაკეტები, ფოტომონტაჟები, მოძრავ პლატფორმებზე მოთავსებული პანოები ასახავენ ყაზახეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შთამბეჭდავ შედეგებს.

საღღესასწაულო მსვლელობის გაფორმება ასახავს ყაზახეთის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, იმას, თუ რაოდენ ამაღლდა რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების კულტურა.

ლამაზი და მოხიბლავია რესპუბლიკის მოსწავლეთა და ფიზკულტურელთა პარადი, რომელიც ორგანულად შეერწყა დემონსტრაციას.

საღღესასწაულო მსვლელობას ამთავრებენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ერისა და ეროვნების ტანსაცმელში გამოწყობილი დემონსტრანტები. ხელიხელჩაკიდებულნი ერთხმად გაიძახიან: „მეგობრობა!“, „დოსტიკ!“, „ძმობა!“.

ყაზახეთისა და რუსეთის ნახევარი საუკუნის იუბილესადმი მიძღვნილ დემონსტრაციაში მონაწილეობდა ასეული ათასობით ალმაატელი მშრომელი. ამ დემონსტრაციამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ყაზახეთის კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა მჭიდრო შეკავშირება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მათი შუბადყოფნა მთელი თავიანთი ძალა და ცოდნა მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

ნ. კოლესოვი,
ი. ნოვიკოვი,

ალმა-ატა. ხაკდესის ხპეც. კორესპონდენტები.

ხელოვნების ოსტატთა საიუბილეო კონცერტი

ალმა-ატა, 28 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). ყაზახი ხალხის ხორცშესხმული ოცნება ბედნიერებაზე, მისი ახალი ცხოვრება დიდი ოქტომბრის შემდეგ აისახა ხელოვნების სიუჟეთში ნაწარმოებებში, რომლებიც დიდი აღმავლობითა და ოსტატობით შესრულეს დღეს ალმა-ატაში გამართულ საიუბილეო კონცერტზე. კონცერტი მეიძღვნა ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომპარტიის 50 წლისთავს.

ყაზახი ხალხის სიყვარული ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისადმი ამაღელვებლად გადმოსცა მსახიობმა მ. შუსაბაევმა, რომელმაც შეასრულა სიმღერა „ბრილი“. დიდებულად აღიერდა „ოქტომბრის სიმღერა“ ს. მუხამედჯანოვის ორატორიიდან „სოკუნეთა ძახილი“, რომელიც გუნდმა შეასრულა.

ბ. ბაიკადამოვის ტემპერამენტიანი ყაზახური ცეკვა „საიბატა“ შეასრულა ყაზახეთის სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა. გულთბილად შეხვდა „მაყურებელი სსრ კავშირის სახალხო არტისტების რ. ჯამანგოსა და რ. ბაგლანოვის, ბალეტის სოლისტების ს. კუშნირბაევასა და ბ. აიუხანოვის გამოსვლებს.

დამსახურებული წარმატება ხვდათ ყაზახეთის ბაიის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობებსა და სხვა შემსრულებლებს, აგრეთვე კონცერტის დამდგმელს — ყაზახეთის სსრ სახალხო არტისტს ბ. დოსმჟანოვს, ორკესტრის დირიჟორებს ბ. ფუგაშევსა და უ. ნუსუპოვს, მთავარ ლოტბარს ა. მოლოდოვს.

დასასრულ კონცერტის ყველა მონაწილემ შეასრულა კანტატა „დიდება ყაზახეთს“.

საღღესასწაულო კონცერტზე, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი**, რესპუბლიკის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაციები.

სკკპ ცნობა

მიფრინავს „კოსმოს - 360“

1970 წლის 29 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-360“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატური განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,5 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 318 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 209 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

30 აგვისტო მეშაბტის დღეა

თავიანთ დღესასწაულს — მეშახტეთა დღეს ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით ეგებებიან ტუვარჩელელი მაღაროელები. მათ დაუღალავი შრომის შედეგად ხუთწლედის მეხუთე წლის განვლილ პერიოდში სამშობლოს გეგმის ზევით 24 ათასი ტონა ქვანახშირი მიეცეს. ამას წინათ ტყვარჩელელებმა ახალი გადდებული ვალდებულებანი იკისრეს, რათა ღირსეული მაჩვენებლებით აღნიშნონ სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში ხალხთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის საიუბილეო თარიღები.

სურათზე: მოწინავე მეშახტეები (მარცხნიდან) ბ. დემეტრაშ ვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ციბა და ბ. პოზნიაკოვი, რომლებიც დღიურ ნორმებს ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფოტო ი. პოტორნელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მაღაროელთა დღესასწაული

28 აგვისტოს მოსკოვში კოშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მეშახტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრების სამაგალითო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო.

მეშახტეთა დელეგაციებმა, აღნიშნა მოხსენებაში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა ბ. თ. ბრატჩენკომ, დედაქალაქში ჩამოტანეს შრომითი გამარჯვებების ბატონები. მარტო წელს ქვეყანამ მიიღო თითქმის ცამეტი მილიონი ტონა ზეგეგმითი სათბობი, ხოლო ხუთწლედის დამდეგიდან დავალების გადაჭარბებით მოპოვებულია 60 მილიონი ტონა ქვანახშირი.

წელს მეშახტის დღე დაემთხვა სტახანოვური მოძრაობის 35 წლისთავს, რომელმაც დასაბამი მისცა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებას შრომის უდიდესი ნაყოფიერების მიღწევისათვის. კრების პრეზიდიუმში ადის დონეცკის „ცენტრალნაირმინოს“ შახტის ყოფილ მნგრეველი, პირველი ხუთწლედების გმირი ა. გ. სტახანოვი, რომელსაც დამსწრენი ტაშით შეეგებნენ. ალექსი გრიგოლის ძე სტახანოვს ახლაც არ გაუწყვეტია კავშირი საყვარელ საქმესთან. იგი მუშაობს დონეცკის ოლქის ქალაქ ტორეზის № 2/43 შახტში.

კრებაზე მინისტრმა ბ. თ. ბრატჩენკომ იცდაერთი მეშახტეს გადასცა პირველი ხარისხის სამკერდე ნიშანი „მეშახტის დიდება“.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესის კორ.).

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲓᲔᲡ

● **თავთავიანი** მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება დასასრულს უახლოვდება. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობით სულ მომკილია 150.616 ჰექტარი, ანუ გეგმის 81 პროცენტი. ახლა ძირითადად მოსავლის აღება მიმდინარეობს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახპინძის, წალკის, დმანისის, თიანეთის რაიონებში.

● **სიმინდის** მოსავალი სულ ამაღლებია 201.635 ჰექტარზე. ეს სამუშაო უკვე გაჩაღდა. სიმინდი აღებულია 10.907 ჰექტარზე. წითელწყაროს რაიონში სიმინდის აღების გეგმა შესრულებულია 52 პროცენტით, სოღნადლის — 27, ყვარლის — 30, გურჯაანის, — 23, ბოლნისის — 22, მცხეთის — 18, მარნეულის — 16, საგარეჯოს რაიონში — 7 პროცენტით. სიმინდის აღებას შეუდგნენ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში.

● **მზესუმზირას** აღება დაიწყეს და ეს სამუშაო მთავრდება წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონებში. პირველს გეგმა შესრულებული აქვს 85 პროცენტით, მეორეს კი 72 პროცენტით. მზესუმზირას აღებას შეუდგნენ საგარეჯოს, გურჯაანის, ლაგოდეხის რაიონებში. სულ ეს კულტურა აღებულია 10.802 ჰექტარზე, რაც გეგმის 65 პროცენტს შეადგენს.

● **თამბაქოს** ფოთლის შეტანის ტემპი ძლიერდება. სულ შეტანილია 73.814 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, ანუ გეგმის 47 პროცენტი.

ბოლნისელმა მეთამბაქოეებმა შეტანეს 4.325 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, რაც დავალების 54 პროცენტს შეადგენს. **აჯარაში** შეტანილია 13.199 ათასი ზონარმეტრი, ანუ გეგმის 63 პროცენტი. ყველაზე მეტი თამბაქო მოჰყავთ **აფხაზეთის** მეთამბაქოეებს. მათ წელს უნდა შეტანონ 21 მილიონი ზონარმეტრი თამბაქო, გეგმა შესრულებული აქვთ 50 პროცენტით. **მარნეულის** რაიონში დავალება შესრულებულია 33 პროცენტით, ხოლო **ლაგოდეხში** 39 პროცენტით.

აღნიშნულ სამუშაოთა დროებითი მთავრების ბაროვადები თანდათან მჭიდროვდება. ბევრი დრო როდი დარჩენილა. საჭიროა დავაჩქაროთ ეს სამუშაოები და უზრუნველყოთ დასახული გეგმების შესრულება.

ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ, ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

მსოფლიო პრესა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას ალმა-ატის ხაზეიმო სხდომაზე დიდი ინტერესით შეხვდა საერთაშორისო ხაზოგადოებრიობა. პირველ გამოხმაურებაში აღნიშნულია, რომ ლ. ი. ბრეჟნევი თავის გამოსვლაში შეეხო თანამედროვეობის ყველა მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას. ხაზგასმულია, თუ რაოდენ ნათელია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების კურსი, რომელსაც საბჭოთა კავშირი განუხრელად ადგას.

აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებს მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევ საფუძველზე სოციალისტური ქვეყნებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის.

ბერლინი. აღნიშვნით „ელეა“ აღნის სააგენტომ დღეს გაავრცელა ალმა-ატის სახეგმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დაწვრილებითი შინაარსი

სააგენტო განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში კვლავ ხაზი გაუსვა მსოფლიო სოციალისტური სისტემის როგორც ჩვენი ეპოქის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების მთავარი ბურჯის, ხოლო სოციალიზმის ქვეყნების პოლიტიკა შეესაბამება ჩვენი პლანეტის ყველა ხალხის საარსებო ინტერესებს.

ლონდონი. ლონდონის საღამოს გაზეთები დღეს ბეჭდავენ ცნობებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის შესახებ.

გაზეთი „ივნინგ სტანდარდი“ განსაკუთრებით გამოჰყოფს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ. გაზეთი აღნიშნავს იმ აზრით, სადაც ნათქვამია, რომ ამჟამად შეიქმნა შესაძლებლობა, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი გადაწყდეს რეალიზმისა და პასუხისმგებლობის პოზიციებიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ხაზს უსვამს „ივნინგ სტანდარდი“, კვლავ გმნაცხადა, რომ ეგვიპტე ღღეს გადასცეს ცნობა ალმა-ატაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის შესახებ. დაწერილებით გადმოსცემენ რა სიტყვას, კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა ვარშავის ხელშეკრულების წევრი სოციალისტური ქვეყნების ერთობლივ მეცადინეობას, რაც მიზნად ისახავს ევროპაში უშიშროების მტკიცე სისტემის შექმნას.

კომენტარებში განსაკუთრებით გამოყოფილია ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ის მომენტები, რომლებიც ეხება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მოსკოვის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომის შედეგებს, რომელმაც კვლავ დაადასტურა, რომ სოციალისტური ქვეყნები ერთსულოვნად ადგანან მშვიდობის პოლიტიკას.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემა,, ხაზგასმულია გადაცემებში, ამჟამად მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების მთავარი ბურჯია, ხოლო სოციალიზმის ქვეყნების პოლიტიკა შეესაბამება ჩვენი პლანეტის ყველა ხალხის საარსებო ინტერესებს.

ბონი. დპა-ს საგენტო, გადმოსცემს რა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, პირველ პლანზე აყენებს იმ შეფასებას, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა მისცა სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მოსკოვში დადებულ ხელშეკრულებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ხაზს უსვამს საგენტო, ხელშეკრულებას უწოდა „სერიოზული წვლილი ევროპაში დაძაბულობის შენელების საქმეში“.

დპა გამოჰყოფს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს იმის შესახებ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ დღეგანდელი ევროპის პოლიტიკური რეალობის ცნობა იმგვარად, როგორც ეს აისახა ორი ქვეყნის მოლაპარაკების შედეგებში, მათს ხელშეკრულებაში, გონივრული ნაბიჯია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, წერს საგენტო, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მას დიდი დადებითი მნიშვნელობა ექნება ევროპის მთელი საერთაშორისო ვითარებისათვის.

მნიშვნელოვანი ადგილები ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვისა არაერთგზის გადასცეს დასავლეთ გერმანიის რადიოსადგურებმა უკანასკნელი ცნობების გამოშვებაში.

ნიუ-იორკი. ამერიკის საინფორმაციო საგენტოებმა გადასცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსი.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს კორესპონდენტმა მოჰყავს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობისა და ამ რაიონში კონფლიქტის მოწესრიგების გზების შესახებ. „ახლა არის შესაძლებლობა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების მისაღწევად რეალიზმისა და პასუხისმგებლობის პოზიციიდან“, — აღნიშნავს იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს კორესპონდენტი.

ალმა-ატაში წარმოთქმულ სიტყვაში, აღნიშნავს იუნაიტედ-პრეს ინტერნეშნლის საგენტო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გააკეთა ახლო აღმოსავლეთისა და ჩინეთის მიმართ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ.

„იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის და ასოშიეიტედ პრესის საგენტოები აღნიშნავენ, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა კატეგორიულად უარყო ჭორი, თითქოს სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულებას. გამოიყენებენ „ჩინეთზე ზემოქმედების საშუალებად“.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს ოფიციალურ ადგილები, რომლებშიც ლ. ი. ბრეჟნევი სათანადო პასუხს აძლევს სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადების შემდეგ იმპერიალისტური პრესის ფურცლებზე დაბეჭდილ მონაჩმახსა და ცილისწამებას.

ასოშიეიტედ პრესის საგენტო გამოყოფს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულებას „ევროპის დაძაბულობის შენელების, ევროპის ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის“ საქმეში.

რომი. იტალიის ანსა-ს საგენტომ სასწრაფოდ გადასცა ქვეყნის ყველა გაზეთს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსი.

„ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ძირითადი ნაწყვეტები საერთაშორისო ვითარების პრობლემებზე მაშინვე შეტანეს თავიანთ გადაცემებში იტალიის რადიომ და ტელევიზიამ.

პარიზი. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დიდი ინტერესით შეხვდნენ საფრანგეთში. ფრანს პრესის საგენტომ გააკრცელა რამდენიმე ცნობა, რომლებშიც მოყვანილია ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ნაწყვეტები. ხალამის გაზეთებში მოყვანილია სიტყვის ის ადგილები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას. (საკდესი).

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ალმა-ატა, 28 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). ყაზახი ხალხის ხორცშესხმული ოცნება ბედნიერებაზე, მისი ახალი ცხოვრება დიდი ოქტომბრის შემდეგ აისახა ხელოვნების სიუჟეთში ნაწარმოებებში, რომლებიც დიდი აღმავლობითა და ოსტატობით შესრულეს დღეს ალმა-ატაში გამართულ საიუბილეო კონცერტზე. კონცერტი მეიძღვნა ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომპარტიის 50 წლისთავს.

ყაზახი ხალხის სიყვარული ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისადმი ამაღელვებლად გადმოსცა მსახიობმა მ. შუსაბაევმა, რომელმაც შეასრულა სიმღერა „ბრილი“. დიდებულად აღიერდა „ოქტომბრის სიმღერა“ ს. მუხამედჯანოვის ორატორიიდან „სოკუნეთა ძახილი“, რომელიც გუნდმა შეასრულა.

ბ. ბაიკადამოვის ტემპერამენტიანი ყაზახური ცეკვა „საიბატა“ შეასრულა ყაზახეთის სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა. გულთბილად შეხვდა „მაყურებელი სსრ კავშირის სახალხო არტისტების რ. ჯამანგოსა და რ. ბაგლანოვის, ბალეტის სოლისტების ს. კუშნირბაევასა და ბ. აიუხანოვის გამოსვლებს.

დამსახურებული წარმატება ხვდათ ყაზახეთის ბაიის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობებსა და სხვა შემსრულებლებს, აგრეთვე კონცერტის დამდგმელს — ყაზახეთის სსრ სახალხო არტისტს ბ. დოსმჟანოვს, ორკესტრის დირიჟორებს ბ. ფუგაშევსა და უ. ნუსუპოვს, მთავარ ლოტბარს ა. მოლოდოვს.

დასასრულ კონცერტის ყველა მონაწილემ შეასრულა კანტატა „დიდება ყაზახეთს“.

საღღესასწაულო კონცერტზე, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი**, რესპუბლიკის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაციები.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

მსოფლიო დღეს

ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ღღესასწაული

პრაღა, 29 აგვისტო. (საკდესი). წითელი დროშებით, ტრანსპარანტებით, სახელმწიფო ალმებითა მორთული სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ქალაქები და სოფლები. რესპუბლიკის მშრომელები ზაზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ ხლოვაკიის ეროვნული აჯანყების 26 წლისთავს, რომელიც სახელოვან ფურცლად ჩაიწერა ჩეხოსლოვაკიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. ხლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ აჯანყების მონაწილეთა გმირულ ბრძოლასთან, ამართება მიტინგები და კრებები, აჯანყების მონაწილეთა შეხვედრები ახალგაზრდობასთან და მოხუცებთან.

ხლოვაკიაში ჩამოვიდნენ ხლოვაკიის ეროვნული აჯანყების ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი.

სპეციალური ინფორმაცია

ბუდაპეშტი. 28 აგვისტო. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოისმინა უნგრეთის მთავრობის თავმჯდომარის ინფორმაცია 20 აგვისტოს მოსკოვში გამართული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომის შესახებ.

როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, მინისტრთა საბჭომ სავსებით მოიწონა კომიტეტის დასკვნა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის თანმიმდევრული მოლაპარაკება და ხელშეკრულების ხელმოწერა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და ვითარების ნორმალიზაციის გზაზე.

გუსგავ ჰუსაკის გამოსვლა

პრაღა, 29 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ხლოვაკიის ქალაქ ორავის ნიჭნის „ტესლის" ჭარხნის პარტიული აქტივის კრებაზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი. მან დამსწრეთ მოაგონა, რომ 26 წლის წინათ ხლოვაკი ხალხი იარაღით ხელში აღდგა ჰიტლერელ ოკუპანტთა და ეკსპლოატატორთა წინააღმდეგ. ჰუსაკმა ხლოვაკიის ეროვნულ აჯანყებას უწოდა ჩეხოსლოვაკიის ისტორიის გმირული მომენტი, ერთ-ერთი ძირითადი მოვლენა, რომელმაც მრავალი წლით განსაზღვრა მიღიონობით ადამიანის ბედი. აჯანყებას სამი მთავარი იდეალი ჰქონდა, რომელებსაც მნიშვნელობა და აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავთ, თქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა.

ეს იდეალებია ჩეხი და ხლოვაკი ხალხების ძმური ურთიერთობის განმტკიცება. ჩეხებისა და ხლოვაკების ერთიანი, დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს განმტკიცება: სოციალისტური საზოგადოების შექმნა; ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი.

საპასუხოდ ინფორმაციებზე

ბუდაპეშტი. 28 აგვისტო. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოისმინა უნგრეთის მთავრობის თავმჯდომარის ინფორმაცია 20 აგვისტოს მოსკოვში გამართული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომის შესახებ.

როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, მინისტრთა საბჭომ სავსებით მოიწონა კომიტეტის დასკვნა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის თანმიმდევრული მოლაპარაკება და ხელშეკრულების ხელმოწერა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და ვითარების ნორმალიზაციის გზაზე.

პოლიტიკური პროვოკაცია

თაკს დაესხნენ ურუგვაის კომპარტიის განყოფილებას

მონტევიდეო, 28 აგვისტო. (საკდესი). ურუგვაის კომპარტიის სადეპარტამენტო კომიტეტმა გაზეთ „პოპულარში" გამოქვეყნა განცხადება, რომელშიც პროტესტს აცხადებს დედაქალაქის ერთ-ერთ სეკტორში კომპარტიის რაიონული განყოფილების შენობაზე ჯარის ქვეგანყოფილების თავდასხმის წინააღმდეგ. ჯარისკაცებმა დაარბიეს შენობა და დაუტეხეს რამდენიმე კაცი.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს თავდასხმა წინასწარ განხრახული პოლიტიკური პროვოკაციაა. კომუნისტური პარტია ხაზგასმულია დოკუმენტში, იმობს განიუწყვიტელ ანტიდემოკრატიულ მოქმედებას და მთავრობისაგან მოითხოვს განახორციელოს ინტერიციული ღონისძიებანი, რათა ბოლო მოეღოს ასეთ მოქმედებას, აღვთვალ გამოიძიოს თავდასხმის ორგანიზაენი და დასაჯოს დამნაშავენი.

საკდესის მიმოხილვა

პირველი ნაბიჯი

გადაიდგა პირველი ნაბიჯი უნიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებს ისრაელის ჯარების გაყვანას დაპყრობილი არაბული ტერიტორიებიდან. 25 აგვისტოს ნიუ-იორკში ამ მიზნით გაიმართა არაბეთ-ისრაელის პირველი კონტაქტები, რომელსაც ხელი შეუწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა გ. იარინგმა.

ამ ბოლო დროს მოვლენათა მსვლელობა გვიჩვენებს, რომ მხარეებს, რომლებიც იარინგს ხვდებიან ნიუ-იორკში, წინ უდგეთ დიდი და რთული გზა, სანამ ახლო აღმოსავლეთში ცეცხლის დროებითი შეწყვეტა მტკიცე მშვიდობიან მოწესრიგებად გადაიქცევდეს. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ორ კვირაზე მეტი დრო დასჭირდა, სანამ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ იარინგი პირველ შეხვედრებს მოაწყობდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, იორდანიისა და ისრაელის წარმომადგენლებთან.

როგორც ცნობილია, კაირომ და ამანმა ცეცხლის შეწყვეტისთანავე გამოაცხადეს, რომ მზად არიან კონტაქტებისათვის იარინგის ეგიდით. ისრაელმა, პირიქით, გაჭიანურების ტაქტიკას მიმართა. ტელ-ავივი რაღაც აბსურდული მონაჩმახის საფუძველზე ბრალად სდებდა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, თითქოს ამ უკანასკნელს დაირღვიოს დასავლეთის პირობები სუეცის არხის ზონაში. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დიდი შეშფოთებენა გამოიწვია, რომ ისრაელის მთავრობას დაენიშნა თავისი წარმომადგენელი იარინგთან კონტაქტებისათვის.

დიდი წარმატება

ი. ბოლსეევის ანსამბლის გასტროლები ამერიკის შეერთებულ შტატებში

□

ნიუ-იორკი, 28 აგვისტო. (საკდესი). ჩიკაგოს ერთ-ერთ უდიდეს საკონცერტო დარბაზში „სივიკ ოპერა ჰაუსში" მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის გასტროლები იგორ მოისეევის ხელმძღვანელობით. 3.500-ზე მეტი მაყურებელი გულთბილად შეხვდა გუშინ პოპულარულ საბჭოთა მხატვრული კოლექტივის გამოსვლას.

ხამწუხაროდ, ორი დღის წინ ანსამბლის გამოსვლა „სივიკ ოპერა ჰაუსში" ჩაშალა ხულიგნების ჯგუფის პროვოკაციის გამო, რომელმაც კონცერტის დაწყებისთანავე დარბაზში ისროლეს ცრეშლსადენგაზიანი კანისტრა. ამის შედეგად დაშავდა რამდენიმე მაყურებელი და პარტერში გაჩნდა ხანძარი.

ხამწუხაროა ისიც, რომ ჩიკაგოს პოლიციის ხელისუფალნი უმწეობას იჩენენ დამნაშავეთა ძებნაში. მოუხედავად ამისა მოხულიგნო ელემენტების პროვოკაციულმა მოქმედებამ ვერ შეაკავა დიდი ინტერესისა და აღტაცების საერთო ატმოსფერო, რომელშიც მიმდინარეობს კოლექტივის მოგზაურობა შეერთებულ შტატებში.

ანსამბლი, რომელიც აშერიკის შეერთებულ შტატებში 18 ოქტომბრამდე დარჩება, კიდევ გამოვა სენტ-ლუისში, ფილადელფიაში, ვაშინგტონში, ბოსტონში, სარაკუზსა და ქიკეუნის მოელ რიგ სხვა ქალაქებში.

მეგობრები და თანამეგზრები

25 ★ ВЕНГРИЯ

ეროვნულ გამოფენაზე „თავისუფალი უნგრეთის 25 წელი", რომელიც მოსკოვში გაიხსნა დამთვალიერებლებს შეეძლოთ ნახონ თავიანთი ძველი „ნაცნობები" — საბჭოთა კავშირში ფართოდ ცნობილი დაზგები და ტელევიზორები. სამედიცინო ხელსაწყოები და კვების მრეწველობის მანქანები. რასაკვირველია, საერთო ყურადღებას იმსახურებენ ცნობილი „იკარუსები" — ავტობუსები რადიატორთან იკარუსის ფირთვით. წელს უნგრეთი 4 ათას ასეთ ავტობუსს მიაწვდის საბჭოთა კავშირს, ხოლო 1975 წელს ეს ციფრი 7 ათასს მიაღწევს.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური კავშირი საბჭოთა არმიას მიერ უნგრეთის განთავისუფლების პირველი დღეებიდანვე დამყარდა. ეს დაიწყო მაშინ, როცა სსრ კავშირმა 1945 წლის ზამთარში და გაზაფხულზე ბუდაპეშტისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მცხოვრებთა განკარგულებაში დიდი რაოდენობით გადასცა პროდუქტები და სათბობი. 1945 წლის 27 აგვისტოს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა პირველი ოქმი უნგრეთსა და სსრ კავშირს შორის საკონსულტაციოს შესახებ. ამ დროს ჩვენი ქვეყანა მწვავედ განიცდიდა ნედლეულის ნაკლებობას და ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა კავშირი „გვაწვდის ისეთ ნედლეულს, როგორიც არის კოქსი, რკინის მადანი, სპილენძი, ბალი, ბამბა, მედიკამენტები და ხილის კონსერვები, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მარკის ნედლეულმა ბიძგი მისცა ეროვნული მრეწველობის განვითარებას.

დაწყებული 1960 წლიდან ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის ხორცდელდება გრძელვადიანი შეთანხმებების საფუძველზე. საბჭოთა კავშირიდან ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების იმპორტი, რომელიც დაგეგმილია რამდენიმე წლით ადრე, მტკიცე საფუძველია ჩვენი განვითარებადი ინდუსტრიის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

უნგრეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორია — საბჭოთა კავშირის წილმა რესპუბლიკის შიდასავაჭრო საერთაშორისო ურთიერთობის ეროვნულ ეკონომიკაში 1,3 მილიარდ მანეთს შეადგენს. ნედლეულის ზოგადი სახეობა, მაგალითად, ნავთი, რკინის მადანი, ოქრო, თითქმის მთლიანად საბჭოთა კავშირიდან შემოდის. საბჭოთა მანქანებითა და მოწყობილობით აღჭურვილია ისეთი საწარმოები, როგორიც არის დუნაის მეტალურგიული კომბინატი, დუნაის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, ტისის ქიმიური კომბინატი.

საბჭოთა ბაზარი შესაძლებელს ხდის უნგრეთის ეკონომიკის საექსპორტო სტრუქტურის განვითარებას. საბჭოთა კავშირში ეგზავნება ჩვენი საექსპორტო მანქანების ნახევარი — პირველ რიგში გემთმშენებლობის პროდუქცია, ავტოები, კავშირგაბმულობის ტექნიკა, ხელსაწყოები და მანქანები კვების მრეწველობისათვის.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ნაყოფიერი თანამშრომლობა ხელს უწყობს ორივე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, დიდი წვლილი შეაქვს მთელი სოციალისტური სისტემის განმტკიცებაში.

ჯიერდ ხალაში,
უნგრელი ჟურნალისტი.

სრული ერთსულოვნება

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

□

ბერლინი, 28 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო იწონებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის საქმიანობას ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე და აცხადებენ, რომ საკმაოდ ეთანხმებიან სხდომის შედეგებს, რომლებიც ასახავს ერთობლივ კომუნიკეში.

როგორც ნათქვამია ადნის საგაზეთოს მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მოსკოვის სხდომის შედეგების საფუძველზე, თუ ცნობენ ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობასა და სახელმწიფოს ხელშეუხებლობას, შეიძლება მიღწეულ იქნეს ახალი წარმატებანი ევროპის მტკიცე უშიშროების უზრუნველყოფის, სრულიად ევროპის თანმიმრის მოწვევის გზაზე.

ამასთან გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური სახელმწიფოების ძმური ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, რაც მშვიდობისა და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის გარანტიაა.

ეროვნული ემოციების ძალადობისადმი

კაირო, 28 აგვისტო. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა რომეშ ჩანდრამ და სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს პრეზიდენტმა კრიშნა მენონმა, რომლებიც აქ ოფიციალურ ვიზიტად არიან, მშვიდობის მსოფლიო საბჭოსა და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების სახელით განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პოზიციას ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხში გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის განხორციელების საფუძველზე.

ახალი დარღვევა

კაირო, 28 აგვისტო. (საკდესი). არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას აცნობა, რომ ისრაელმა კვლავ დაარღვია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამას იუწყება გაზეთი „ალ-აჰრამი". არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ მოიყვანა მონაცემები იმის შესახებ, თუ როდის, სად და რა დარღვევანი დაუშვა ისრაელმა.

ერთიანი ფრონტით

აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს სესია

□

ადის-აბება, 28 აგვისტო. (საკდესი). ეთიოპიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კეტემა ეფრემ მოუწოდა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანას გამოვიდნენ ერთიანი ფრონტით ამ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც ეემნებათ თავისუფალი აფრიკის ქვეყნებს იმის შედეგად, რომ დასავლეთის საბერძნეთის ხელმძღვანელობა ეროვნული ემოციებისადმი ძალადობისადმი ეროვნული ემოციებისადმი ძალადობისადმი ეროვნული ემოციებისადმი ძალადობისადმი

30 აგვისტო მეშახტის დღეა

წიაღისეულის მოლაშქრები

წელს მეშახტეები თავიანთ დღესასწაულს ლარსშესანიშნავ პერიოდში აღნიშნავენ, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ემზადებიან სკკპ XXIV ყრილობის, ხაბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ქვანახშირის მოპოვების ტემპი რესპუბლიკაში განუხრელად იზრდება. შარშან საქართველოში ქვანახშირის მოპოვება ხაბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებულ დონესთან შედარებით 82-ჯერ გაიზარდა, ხოლო 4-ჯერ ომამდელ 1941 წელთან შედარებით. მიმდინარე ხუთწლედის ოთხ წელიწადში საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მეშახტეებმა გეგმის გადაჭარბებით მოიპოვეს 200 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი, აქედან ნახევარზე მეტი — კოქსვადი.

უკვე ერთ წელზე მეტია კომბინატის საწარმოები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდით მუშაობენ. ამ ხნის განმავლობაში მიღებულია 1,8 მილიონ მანეთზე მეტი შეგეგმითი მოგება. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა პრემიების თანხა. სამეურნეო რეფორმამ დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტლის მუშაობის შედეგებით ზედიზედ ექვსჯერ მოგვანიჭეს ხარ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსა და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, და ახლა, ხაბჭოთა მეშახტეების დღესასწაულის დღეს, ჩვენ აღვუთქვამთ პარტიახა და მთავრობას, ჩვენს ხალხს, რომ ქართველი მეშახტეები ვადამდე შეასრულებენ როგორც მიმდინარე წლის გეგმას, ისე მთლიანად ხუთწლედის დავალებასაც.

დიდია რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ქვანახშირის მოპოვების ზრდას უწინარეს ყოვლისა მივაღწევთ ტყიბულ-შაორის ქვანახშირის სახადოს ათვისების გზით, ვათვალისწინებული გვაქვს ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის რეკონსტრუქცია, რის შემდეგაც მისი სიმძლავრე წელიწადში 1,5 მილიონ ტონამდე გაიზრდება და იგი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი გახდება. გარდა ამისა, 1971-1975 წლებში ხაეჭიმლოატაციიდან გადაეცემა ახალი სიმძლავრეები და ჰორიზონტები მოქმედ შახტებში. სულ კომბინატში ქვანახშირის მოპოვება 1975 წლისათვის შარშანდელთან შედარებით 40 პროცენტით გაიზრდება.

ახალი შახტების მშენებლობა, მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქცია და მექანიზაცია დამოკიდებულია „საქშახტმშენის" ტრესტის შახტმშენებელთა კოლექტივის წარმატებითა მუშაობაზე. წელს კოლექტივი ისე შრომობს, რომ პირნათლად შეასრულებს სახელმწიფო დავალებას.

დიდ დახმარებას გაწევს „საქშახპროექტის" ინსტიტუტის კოლექტივი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ხალთო საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკური აღჭურვის ფართო პროგრამას. უახლოს ხან-ოთხ წელიწადში გადავალთ ქვანახშირის კომბაინებით ამოღებაზე; დავამთავრებთ ტრანსპორტის კონვეიერიზაციას ჰორიზონტალური და დახრილი გვამნამუშევრების ამოსაღებ უბნებში; გავაფართოებთ ძირითად გვამნამუშევრებში მაგისტრალური კონვეიერების, დიდტვირთიანი ვაგონებისა და სწრაფი მძღვარი ელმავლების გამოყენებას; ავამაღლებთ ქვანახშირის მექანიკური გამდიდრების დონეს და სხვ. ეს და მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი რესპუბლიკის ქვანახშირის საწარმოებში 1975 წლისათვის 40-50 პროცენტით გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

წლითიწლობით ხულ უფრო მეტი მანქანები და ავტომატები ეხმარებიან მეშახტეებს. უკვე ხავსებით მექანიზებულია იხეთი შრომატევადი პროცესები, როგორიც არის ქვანახშირის მონგრევა, დატვირთვა, გაგზავნა. მომავალი ხუთწლედის დამლევისათვის უნდა დავამთავროთ საყენტოლაციო დანადგარების, ჭაურის ეზოში ვაგონეტების გაცვლის კომპლექსების ავტომატიზაცია და განვახორციელოთ სხვა ღონისძიებანიც.

მეშახტის დღეს ხაქართველოს ქვანახშირის კომბინატის კოლექტივი და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოები ხაიუბილეო საოლარო თარიღებს აღსანიშნავად გაზლილ ხოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. მეშახტეები ვ. კირკიტაძე, ხ. ხოფრომაძე, ვ. ჭინჭოლია, ვ. ხინტუბა, ი. ხორდია, ხ. ხარჩილავა, ი. ტეფნაძე, ი. ნებაძე, ა. ეგოიანი, პ. ჩიტაიშვილი ენერგიულად შრომობენ ამისათვის, რომ მოიპოვონ კიდევ უფრო თვალხაჩინო მიღწევები, ახალი გამარჯვებებით აღნიშნონ დიდი თარიღები.

დ. ჩიკვაიძე.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის კომბინატის უფროსი.

□ □

„ტყიბულქვანახშირის" ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა საამბოხოს გეგმის გადამეტებით 8 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი მისცა: განსაკუთრებით თვალსაჩინო მაჩვენებლებს აღწევს ბრ 3 სეგმენტალოტატიკი უბნის კომუნისტური შრომის ის ბრიგადა, რომელსაც ი. არსენიშვილი ხელმძღვანელობს. ს ა ქ ა ო ზ ე: ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) ვ. ცნობილაძე, ბ ცნობილაძე, ბრიგადირი ი. ბარსენიშვილი და შ. კანთელაძე.

(ხაქდენის ფოტოქრონიკა).

ქალაქ ზესტაფონის მცხოვრებთა შორის დიდი პოპულარობით ხარგებლობს ადგილობრივი ბიბლიოთეკა. აქ 8.500 მუდმივი მკითხველის განკარგულებაშია 30 ათასზე მეტი მხატვრული, პოლიტიკური და ტექნიკური წიგნი. ბიბლიოთეკის ფონდით სოფლის მკითხველებიც ხარგებლობენ.

კარგი მუშაობისათვის ზესტაფონის რაიონული ბიბლიოთეკა ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეა. მისი წარმატებები მეორე ხარისხის დიპლომით არის აღნიშნული.

■ ■ ■

ᲬᲘᲠᲐᲗᲘ: ზესტაფონის ხარაიონო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.

ფოტო ბ. მორგუნოვისა (ხაქდენის ფოტოქრონიკა).

გაგეთის უსულგულო გამავრცელებლები

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" რედაქციაში შემოვიდა ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა კვირიკეს მცხოვრების ს. ბეკანიძის სარეკომენდაციო წერილი, რომლითაც ვეტერანებისს, რომ ქოქმეურნეობაში გამოიწერა გაზეთები „კომუნისტი", „საბჭოთა აჭარა", „ლენინელი", „მებრძოლი გუშაგი", „ლაპარაკობს თბილისი", „ახალგაზრდა კომუნისტი", რისთვისაც გადაიხადა 20 მანეთი. მისთვის არ მოუცია ქვითრები. გაზეთებს იღებდა მხოლოდ პირველ კვირტალში. შემდეგ კი შეუწყვეტეს. დღემდე გარკვეული მასუხი არ მოუცია, თუ რატომ შეუწყვიტეს გაზეთების მიწოდება.

მდგომარეობის შესასწავლად სოფელ ქვედა კვირიკეში ჩასული მოგვიხდა. გამოირკვა, რომ „სოფუშპიჩატის" ქობულეთის განყოფილებას (უფროსი ნ. ჭინჭარაძე) ქვედა კვირიკეში თავისი რწმუნებული არ გამოუყვია, რომელსაც მიანდობდა გაზეთების გავრცელებას. ეს საქმე არც ფოსტალიონებისთვის დაუვალია. სოფელი უგზოთოდ რომ არ დარჩენილიყო, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას მსურველთაგან შეუგროვებია ფული და ჩაუტანია „სოიუზპეჩატის" რაიონულ განყოფილებაში. იქ კი იოლი გზისთვის მიუგნიათ. ადრესატის (ხელმომწერის) ალუნმშიგად ერთნაირი დასახელების ათობით გაზეთი ერთ ქვითარში გამოიწერეთ. მაგალითად, ქვითარებში №№ 110501 და 110502 გამოწერილი იყო 20 ცალი „კომუნისტი". სოფელ ქვედა კვირიკეს გაზეთის დამტარებელს ა. კაკაბაძეს აქვს ხელმომწერთა სია, მაგრამ არ იცის, ხელმომწერლებს რა ეადით აქვთ გამოწერილი ესა თუ ის გაზეთი. ამიტომ იძულებულია გაზეთები მოსახლეობას თავისი შეხედულებისაებრ დაურიგოს.

რამ გამოიწვია ასეთი კურიოზი?—რაიონის „სოიუზპეჩატის" თანამშრომლთა უპასუხისმგებლობამ. მათ თვითეული დასახელების მიხედვით ყოველ ხელმომწერზე ცალკე რომ ამოეწერათ ქვითარი, რა თქმა უნდა, ასეთი გაუგებრობა არ მოხდებოდა. და ეი ერთ შეცდომას მეორე მოპყვა. ხალხმა არ იცოდა, რა ეადით რომელი გაზეთი ჰქონდათ გამოწერილი. არც არავის შეუხსენებია მათთვის, რომ ხელმოწერა წლის მეორე ნახევრისათვის გაეგრძელებინთ, რის შედეგადაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა უგაზეთოდ დარჩა. მაგალითად, ქვედა კვირიკეში კოლმეურნეებს 1970 წლის იანვრისათვის გამოწერილი ჰქონდათ 84 ცალი „კომუნისტი", წლის მეორე ნახევარში კი მხოლოდ 34 ცალი.

ასეთივე მდგომარეობაა სხვა გაზეთების გავრცელების მხრივ. ეს საერთოდ არაგინ არ მოსულა, რომ ხელმოწერა წლის მეორე ნახევრისათვის გაეგრძელებინა. ხელმოწერთა რაოდენობის გაზრდით არც ფოსტალიონება არიან დაინტერესებულნი. პირიქით, მათ ის ურჩევნიათ, რაც უფრო ნაკლები გაზეთი ეჭნებათ დასატარებელი. სამწუხაროდ, ასეთი მნიშვნელოვანი საქმისათვის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კონტროლი არ გაუწევია.

„სოიუზპეჩატის" ქობულეთის რაიონული განყოფილების თანამშრომელთა მუშაობის ასეთი „მეთოდი" უეჭველია ანალოგიური მდგომარეობას შექმნიდა ზოგიერთ იმ კოლმეურნეობაში, სადაც მათ რწმუნებულები არა ჰყავთ, ან გაზეთების გავრცელების საქმე კოსკრეტულ პიროვნებას არა აქვს მინდობილი. მათ უდისციპლინობაზე ისიც მეტყველებს, რომ „სოიუზპეჩატში" შესვენების შემდეგ გამოცხადდნენ 30 წუთის დაგვიანებით და ამ დანაშაულობრივ მოქმედებას მათში ოდნავი უხერხულობაც არ გამოუწვევია.

„სოიუზპეჩატის" ყოველმა თანამშრომელმა, გაზეთების დამტარებელმა, ძიერული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რომლებიც ვალდებული არიან დაეხმაროთ და კონტროლი გაუწიონ ჭერიოდული პრესის გავრცელებას, უნდა იცოდნენ, რომ ეს წმინდა პარტიული, წმინდა სახელმწიფოებრივი საქმეა და მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ.

მ. ბორგილაძე.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ხაკ. კორ.

რეპლიკა

ცაცხვი თუ ცაკში?

ᲑᲣᲠᲯᲝᲛᲘ ცაიშთან პატარა დასახლებაა ცაცხვის სახელწოდებით, სადაც ამ კურორტის მომსახურებისათვის სადგურზე ყველა მატარებელი ჩერდება. სადგურს რატომღაც ამ მოკროდასახლების სახელწოდება „ცაცხვი" აწერია. სადგურიდან 150-200 მეტრზეა კურორტი მისი კეთილმოწყობილი პანსიონატებით. მაგრამ ავადმყოფებმა ეს არ იციან და სადგურ ინგირში ჩამოდიან. ინგირიდან ცაიშამდე 15 კილომეტრი უკან უხდებათ დაბრუნება, რაც ზედმეტ ხარჯებთან და სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ აბრაზე სადგურ „ცაცხვის" მაგივრად სადგური „ცაცხი" რომ მიაწეროს, ეს მთელ უსიამოვნებას აღმოფხვრიდა და სამართლიანიც იქნებოდა.

ბ. ჩაჩავა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲙᲘ ᲠᲩᲔᲣᲚᲔᲑᲘ

ᲨᲔᲒᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲗ, ᲒᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ტყიბულში ვცხოვრობ ხაუწყებო ხასლში დამჭირავებლის უფლებით, ვარ პენსიონერი, შემიძლია თუ არა საცხოვრებელი ბინა გადავცვალო თბილისში.

ბ. კობახიძე,
ტყიბული.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: მოხუცებულობის გამო პენსიონერებს და პერსონალურ პენსიონერებს, რომლებიც საწარმოების, დაწესებულებების საუწყებო სახლებში ცხოვრობენ დამჭირავებლის უფლებით შეუძლიათ საცხოვრებელი ფართობის გაცვლა გამჭირავებლის ნებართვით. გაცვლა შეიძლება რამდენჯერ ერთი. ისე სხვადასხვა ქალაქის ფარგლებში.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით აღებულ უნდა იქნას ჩემი ბინადი ხაკუთრების საცხოვრებელი ხასლი. ამ შემთხვევაში რა ფართობის საცხოვრებელი ბინა უნდა მიეცეს ჩემს ხუთსულიან ოჯახს?

შ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ,
თბილისი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკეთილებისათვის მოქალაქის ბინადი საკუთრების სახლის აღების შემთხვევაში მესაკუთრეს შეუძლია მიიღოს სახლის ღირებულება ან საცხოვრებელი ფართობი. ამასთან მისაცემი საცხოვრებელი ფართობი თითო სულზე არ უნდა იყოს კანონით დადგენილ ნორმაზე ნაკლები (თითო სულისათვის ორასაკლები 12 კვ. მეტრი).

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: მუშაობის დროს მივიღე სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებულია თუ არა გადამიყვანოს მსუბუქ სამუშაოზე?

ლ. ᲒᲕᲐᲖᲐᲕᲐ,
Ჭ. ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ადმინისტრაცია ვალდებულია მუშაკი მისი ოსოვნით გადაიყვანოს სხვა უფრო მსუბუქ სამუშაოზე, თუ მან მუშაობის დროს მიიღო სხეულის დაზიანება.

დაბალანსებულია სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევაში მუშაკს ეძლევა წინანდელი ხელფასი შრომისუნარიანობის აღდგენამდე ან ინვალიდობის დადგენამდე.

რეკლიკა

ᲪᲐᲪᲮᲕᲘ ᲗᲣ ᲪᲐᲙᲨᲘ?

ᲑᲣᲠᲯᲝᲛᲘ ცაიშთან პატარა დასახლებაა ცაცხვის სახელწოდებით, სადაც ამ კურორტის მომსახურებისათვის სადგურზე ყველა მატარებელი ჩერდება. სადგურს რატომღაც ამ მოკროდასახლების სახელწოდება „ცაცხვი" აწერია. სადგურიდან 150-200 მეტრზეა კურორტი მისი კეთილმოწყობილი პანსიონატებით. მაგრამ ავადმყოფებმა ეს არ იციან და სადგურ ინგირში ჩამოდიან. ინგირიდან ცაიშამდე 15 კილომეტრი უკან უხდებათ დაბრუნება, რაც ზედმეტ ხარჯებთან და სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ აბრაზე სადგურ „ცაცხვის" მაგივრად სადგური „ცაცხი" რომ მიაწეროს, ეს მთელ უსიამოვნებას აღმოფხვრიდა და სამართლიანიც იქნებოდა.

ბ. ᲩᲐᲩᲐᲕᲐ.

ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ᲙᲘᲜᲝᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲮᲣᲚᲝ დროის ქართულ ფილმებში მეტ სწრაფვას ვხედავთ ადამიანის შინაგანი სამყაროს ანალიზისადმი. ამასთან დაკავშირებით მრავალსხვადასხვა ხაინტერესო ფაქტებთან გვაქვს საქმე. სულ პირველ პლანზე მოიწევს ფილოსოფიურ-ინტელექტუალური კინემატოგრაფია და დადებითი გმირის ძიებაც კვლავ დაძაბულად წარმოებს სხვადასხვა კინოფანრში. კვლავინდებურად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ფსიქოლოგიური დრამაც, რომელიც ხაშუალებას იძლევა ნაჩვენები იქნას თანამედროვეობის არსი და ფსიქოლოგია. ბოლოდროინდელი ფილმების ხახელწოდებებიც კი იმაზე მეტყველებს, რომ კინემატოგრაფიოსტებმა ეს ბრძოლა ფარადოდ მიაპყრეს თემებს: მოქალაქეობრივ მორალს, მხატვრულ და დროს, სიყვარულს, მეგობრობას, შრომას, ინდივიდის პასუხისმგებლობის გრძნობას ქვეყნისა და ხაზოგადოების წინაშე.. ეს, რა თქმა უნდა, არ არის აღმოჩენა, ყოველივე ეს ადრეც იყო. თავისებურება მხოლოდ იმაშია, რომ ახალ კინოფილმებში ჩანს ნაყოფიერი ცდები ამ ტრადიციული თემების ახლებური ანალიზისა, ჩვენი ახალი ხაზოგადოებრივი მორალის, შეხედულების და ფსიქოლოგიის ათვალისწინებით ეკრანის ზედაპირზე ამოტივტივებული ფორმების ძიებისა. ამ გზაზე, ბუნებრივია, არის შეცდომებიც, სირთულეებიც და საადვილ საკითხებიც. მაგრამ, როგორ ყველაფერს ამას ძირითადად წარმართავს უკეთესი ხვალინდელი დღისაკენ მიმართული ტენდენციები, უფრო მეტია იმედიც სირთულეებისათვის თავის დაღწევისა.

თანამედროვე ადამიანების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის აზრებისა და გრძნობების თავისებური ჩვენების მაგალითებს იძლევიან თავიანთ ფილმებში ახალგაზრდა რეჟისორები. ისინი ეკულწრფელად ცდილობენ შეძლებისდაგვარად გააშუქონ ჩვენი ახალგაზრდობის მისწრაფებების, მოქალაქეობრივი და შრომითი აღზრდის, ხალხის მორალური ერთიანობის პრობლემატური საკითხები. ამისათვის ისინი მიმართავენ ლიტერატურასაც, დრამასაც, პოეტურ ნოველასაც და კომედიასაც. ერთი სიტყვით, არის „რა", „როგორ" და „რატომ", რომელიც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოების ბანსაზღვრელს წარმოადგენს და თუ ჩვენ უპირველესად ყურადღებას გავამახვილებთ ახალგაზრდა რეჟისორების ფილმების დადებით მხარეებზე, ნურავინ დაგვწამებს რაიმე მეკერძოებას.

ᲗᲐᲛ ასე, რა აწუხებთ კინოალმანახის — „ᲑᲣᲠᲘᲜᲘ, ᲮᲔᲚᲣᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ" მთავარ გმირებს, ხოლო მათი სახით თვით ფილმის ავტორებს? როგორ გვისულენ ისინი თავიანთ ფიქრებს და რატომ დასჭირდათ მათ ყოველივე ეს პოეტური ნოველების ჩარრომი მოეცვიათ?.. არსებობს აზრი, რომ ნოველა „რაკინენ ფილიგრანულადაც უნდა დამუშავდეს იგი, მაინც არ არის თანამედროვე კინემატოგრაფიის მთავარი და ძირითადი გზა". მამ რატომ მაინცა და მაინც ნოველა აირჩიეს მათ თავიანთი ფიქრების, გეზოვნების, ნიჭის და ღღვანდელობის მნიშვნელოვანი პრობლემებისაკენ მისწრაფვების გამოსავლინებლად? ალბეთ ამიტომ, რომ ისინი ილტვიან მხოლოდ იმ „შემოქმედებითი პროფესიონალობის პასპორტისაკენ", რომელიც შემდეგში უფლებას მისცემს მათ უფრო მასშტაბური, ეპიკური კინორომანების შესაქმნელად? შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ კინობელოვნება მდიდარია მოკლემეტრაჟიანი და ნოველური ანრის შედეგებითაც, ამის დასადასტურებლად ჩაპლინიც კმარა... ჩვენ კი ამჯერად ნუდარ გამოვდგებიენ ეანრობრივ ფარგლებზე თავისებურებებს (ყველა ანრი კარგია, როცა სათქმელი ნათქვამია).

ᲐᲜᲗᲐᲒᲘᲝᲜᲗᲔᲑᲘ ᲕᲒᲘᲜᲐᲮᲗᲣᲚᲝᲑᲗ, რომ „ᲑᲣᲠᲘᲜᲘ, ᲮᲔᲚᲣᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ" პირველი ნოველის „ᲑᲠᲝᲜᲜᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ" (რეჟისორი — შ. ᲨᲐᲚᲐᲕᲐᲫᲔᲡᲘᲚᲘ) გმირები, მოკრივე გიგი ყიფიანი და მისი მეგობარი ირინე — ძალიან ახალგაზრდები არიან, მათ ეს-ეს არის დაეწყოს დამოუკიდებელი ცხოვრება. გიგი უარს აბობს იმ უინრატესობაზე, რასაც, ჩვენებურად, სპორტი აძლევს ხოლმე სტუდენტს, ირინესაც აღარ უნდა გაზეთების ჯიხურში დგომა...

ნოველა „ᲩᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘ ᲛᲖᲔ" (რეჟისორი შ. ᲨᲐᲚᲐᲕᲐᲫᲔᲡᲘᲚᲘ) გვიამბობს პენსიონერ ხანდრო ცაგარეიშვილის ერთ დღეზე... ᲣᲙᲐᲜ დარჩა სიცოცხლის ხუთეთასი წლები, ბრძოლით, თავგანწირვით და შეღლევარეთ ხავსე, მაგრამ ხანდრასთვის უცხოა თვითმყოფობელება, სიმშიერი, და ის ოცნებობს ისევ გმირობაზე, თავგანწირვაზე... ხანდრო ცაგარეიშვილა ისე იცხოვრა, როგორც დღდმა, ჩამავალმა ზზემ.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ნოველა „ᲨᲕᲘᲚᲐ" (რეჟისორი — ბ. ᲨᲣᲚᲐᲫᲔ) მოგვითხრობს ადამიანზე, რომელიც ბისთვის ხრულიად ეცხო საქმეთანობას მოეკვა ხათავეში და ბევრი უბედურების გადატანის შემდეგ ამ საქმის დიდი ენთუზიასტი გახდა...

ეს არის და ეს. მაგრამ როგორ ახასიათებენ ყოველივე ამას ფილმების ავტორები?

ნოველა „ᲕᲝᲒᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ" ახალგაზრდა გმირებს აწუხებთ, თუ რაში მდგომარეობს ცხოვრების მიზანი. ეს მართლაც პრობლემატურია თანამედროვე ახალგაზრდობისათვის. მათ იციან, რომ ხვალინდელი დღის ლად. მზიარული და გონებამახვილური, რეალური და გამოგონილი ამბების მონაცვლეობაში ისახება ამ ხვედანარეკი კომედიის მთავარი გმირის სულიერი სიწმინდე; ანტიკური პოეტების მსგავსად ფილმის ავტორებიც ამერჩევენ დაკვარწმუნონ — ხანდაზმულობასაც აქვს თავისი სიმშვენიერე, როცა უკვე განვლილი ცხოვრება რაღაცით ჰგავს დიდ, ჩამავალ მზეს...

ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝ სიტუაციები ᲫᲨᲘᲠᲘᲐᲓ გაძასხარავებისა და უშინაარსო ტრიუკების საშიშროებას ქმნის კომედიური ჟანრის ნაწარმოებში. თუ ბმდგელობაში არ მივიღებთ რაზედნიმე თვითმიზნურ ეპიზოდს, სასაცილო სიტუაციებს აქვს თავისი მხატვრული გამართლება ნოველაში — „ᲤᲔᲚᲝᲜᲐ". მაგრამ საბოლოოდ მაინც გაუგებარია, რატომ დასჭირდათ ფილმის ავტორებს შემთხვევითობის ესოდენ ვიწრო თვალტიკა სერიოზული ყურადღების საფუძველად აქციათ, მით უმეტეს შემთხვევითობის ესოდენ ბიწრო საკმაოდ საეჭვოა თეატრალური მაგალითი (მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „ᲤᲔᲚᲝᲜᲐ").

ასევე გაუგებარია, რატომ დაუთმეს ესოდენ დიდი ყურადღება ნაკლებ პრობლემატურ ამბავს სრულმეტრაჟიანი ფილმის „ᲨᲔᲚᲐᲒᲔᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ" (რეჟისორი ბ. კალატოზიშვილი) ავტორებმა, მაშინ როდესაც მათ ფართო შემოქმედებით შესაძლებლობებს უფრო დიდი ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ საკითხების გაშუქება შეეფერებოდა. ამით იმის თქმა სულაც არ გვინდა, თითქოს ჩვენი მაღალი შუშგამა რიული და მეტად საჭირო საქმიანობა სრულიაც ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲔᲚᲘ. ᲐᲮᲚ ᲤᲘᲚᲛᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ ᲗᲣ ᲠᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲛᲔ

საქართველოს მთა-ბარში

ვი აგვისტო მეშახტის დღეა

მეშახტეთა დღისათვის ტყვარჩელში დამთავრდა ახალი 70-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

• • •

სურათზე: ახალი 70-ბინიანი სახლი ტყვარჩელში.

ფოტო ი. ჰუხონელიძისა (საქდისის ფოტოქრონიკა).

იალაღეებზე

● **ყაზბეგი.** ხევის მაღალ მთებში ალპურ საძოვრებზეა რაიონის კოლმეურნეობათა ათასიანი ფარები. მწყემსებთან ხშირად ადიან ლექტორები და აგიტატორები, აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები.

დაბა ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ ამას წინათ აგიტბრიგადა გაგზავნა მწყემსებთან იალაღებზე. ბრიგადის წევრებმა ვ. ჩოფიკაშვილმა, ლ. ქაწაშვილმა, გ. ფიცხელაურმა და სხვებმა მწყემსებს გააცნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იგლისის პლენუმის შედეგები, ესაუბრნენ პარტიის მომავალი ყრილობისათვის მზადებისა და საქართველოს მშრომელთა საიუბილეო წლის შესახებ. („კომ.“ საკ. კორ.).

● **ონნის** რაიონის სორის სასოფლო კულტურის სახლმა მაღალმთიან იალაღებზე გაგზავნა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელმაც საძოვრებზე კონცერტები გამართა მწყემსებისათვის. გადამშის კოლმეურნეობის მეცხოველეებს ისინი მოიმსახურნენ ღურშეის საძოვრებზე, ხოლო გომის, ნაკიეთის, ნიგაზეებისა და კომანდლის კოლმეურნეობებს — მამისონის საძოვრებზე, თვით სორის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკებს სალამო გაუმართეს ოქროყანაში.

ა. ბერუჩეები.

მამისონის საძოვრები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქვის კოშკი“ ბურორტ სანრმის გზაზე. ფოტო ბ. სახელაშვილისა.

ჯანმრთელობის სადარაჯოზე

საბჭოთა მედიკები თავიანთ ყოველდღიურ პროფილაქტიკურ მუშაობაში ფართო საზოგადოებრივ აქტივს ეყრდნობიან. ეს ყველაზე უფრო მკაფიოდ მოწმობს ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის საზოგადოებრივ სასიათს, სადაც თვითეულის ჯანმრთელობა საყოველთაო სიმდიდრეა.

მეტად დიდი როლი ენიჭებათ ინპროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, კედლის გაზეთები, ფართო საზოგადოებრიობა.

არ შეიძლება სიმკაცრე ვუსაყვედუროთ საზოგადოებრივ სანიტარულ ინსპექტორებს, რომლებიც სახელმწიფო სანიტარული კონტროლის ორგანოებს ყოველდღიურ დახმარებას უწევენ კომუნალური და კვების ობიექტების ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობაში, მაგრამ ახლა მათი სიმკაცრე გასამკეცებულ უნდა იქნას, რადგან შეიძლება, ჰიგიენური წესების ერთი შეხედვით ყველაზე უმნიშვნელო დარღვევამაც კი გამოიწვიოს პროდუქტების „დაავადება“ და მათი საშუალებით — ადამიანებისა.

ეთელი საზოგადოებრიობის საზრუნავი

ფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯანმრთელობის საზოგადოებრივ დამცველებს. რა დიდიც უნდა იყოს სამედიცინო მეცნიერების ბიდწევები, გადამწყვეტ როლს, ზოგჯერ, სწორედ ის წინაღობები ასრულებენ, რომლებიც ინფექციის გავრცელების გზაზე შეიძლება აღმართოთ მხოლოდ მთელი მოსახლეობის ყველაზე ფართო მასების მონაწილეობით, და, რა თქმა უნდა, მედიცინაში გათვითცნობიერებული აქტივის მონაწილეობით. ამ აქტივს კი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებები ამზადებენ.

თვითეულმა უნდა იცოდეს, რომ დაავადების გავრცელების ერთადერთი წყაროა ავადმყოფი ადამიანი. დაავადების აღმძრავი მიკრობი ჯანმრთელ ორგანიზმში ხვდება მხოლოდ პირის ღრუდან. პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის წესების უმკაცრესად დაცვა, დაავადებულთა სწრაფი იზოლაცია, კარანტინი და იმათი პროფილაქტიკური მკურნალობა, ვინც მათთან კონტაქტში იმყოფებოდა — აი ინფექციათა ბლოკირების საიმედო ღონისძიებანი. სანიტარულ-საგანმანათლებლო ცოდნის გავრცელება ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საცხოვრებელ სექტორში— ჯანმრთელობის დაცვის აქტივისტთა, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების წევრთა მრავალმილიონიანი რაზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მაგრამ ხდება ასეც: ლექციები და საუბრები იმართება, ხოლო ჰიგიენის წესების დაცვისათვის პირობები შექმნილი არ არის. განა ყველგან არის ადუღებული სასმელი წყალი, სუფთა პირსახოცები? ხომ არ აკიწყდებათ სამეურნეო მუშაკებს პირსაბანებთან საპონის დადება? კარგად არის მოწყობილი საერთო სარეცხლობის ადგილები? ყველაფერ ამას შეუნელებელ ყურადღებას უნდა უთმობდნენ არა მარტო სანიტარული საგუშაგოების, სანიტარული რაზმიელების, პროფილირებული აქტივის წევრები, არამედ კუჭ-ნაწლავის ინფექციების, მათ შორის ქოლერის აღმძვრელებს ეშინიათ სადენინფექციო საშუალებებისა. ეს არის ქლორიანი კირის ხსნარი, ლიზოლი, ქლორამინი. მაგრამ ყველგან არის თუ არა ეს საშუალებები, თავის დროზე და სწორად იყენებენ თუ არა მათ? აქტივისტს (აქტივისტად კი შეუძლია და საჭიროც არის თავის თავს თვლიდეს თვითეული დაინტერესებული მოქალაქე) შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებს, თუ ის ოპერატიულად მიაწვდის სიგნალს ჰიგიენური წესის მის მიერ გამოვლენილი ყოველი დარღვევის შესახებ და აქტიურად შეეცდება მის ლიკვიდაციას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქეშერის, სახლების, სოფლის, თვითეული საკარმიდამო ნაკვეთის, თვითეული ფერმის სანიტარულ კეთილმოწყობას. წყლის წყაროების — ჭების, გუბურების, მდინარეების გაჭუჭყიანებისაგან საგულდაგულო დაცვა; ტუალეტებში სისუფთავე; ნარჩენების ჩასასხმელ ორმოებზე მჭიდრო თავდასასურავები; ბუზების განადგურება; ყოფა-ცხოვრებასა და წარმოებაში სადეზინფექციო საშუალებების ფართოდ გამოყენება — ყველა ეს ღონისძიებანი თავიდან აგვაცილებენ მასობრივი დაავადების საშიშროებას. არ უნდა დავიწყოთ, რომ ბალებისა და ბოსტნების ტენიან ნიადაგში კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებათა და, კერძოდ, ქოლერის გამოწვევი მიკრობები ძლებენ 70 დღემდე, ფეკალურ მასებში — 50 დღემდე, სანარჩენო ორმოებში კი 100 დღეზე მეტს.

გამოჩენილი საბჭოთა ეპიდემიოლოგის ლ. ვ. გრომაშევსკის აზრით, „კუჭ-ნაწლავთა მწვავე დაავადების გავრცელება ხშირ შემთხვევაში ხდება ამა თუ იმ საკვები პროდუქტის მეშვეობით“. ჩვენში კი რა ხდება? ქუჩაში შეხვდებით ასეთ რამეს — ბავშვი დედას ემუდარება მისცეს ახლად ნაყიდი ხილი, მსხალი იქნება ის, ვაშლი თუ ყურძენი. გულჩვილი დედიკო უარს ვერ ეუბნება ატირებულ შვილს. შეიძლება მათ არ იციან, რომ ამით საშინელი საფრთხის წინაშე აყენებენ პირმშოს.

დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დროულად დაწყებულ მკურნალობას. რაც უფრო ადრე იქნება დაწყებული მკურნალობა, მით უფრო მეტია გარანტია, როგორც თვით დაავადებულის, ისე მთელი სახლის, ქალაქის უსაფრთხოებისათვის. აუცილებელია უკლებლივ ყველა ავადმყოფის სწრაფი იზოლაცია — მხოლოდ ამით შეიძლება აღკვეთოთ ინფექციის „გაძვრომა“. ჯანმრთელობის დაცვის აქტივისტები ყმამბს ხელს უნდა უწყობდნენ გამოავლინონ ყველა, ვინც კონტაქტში იყო ავადმყოფთან, რადგან ამ ადამიანების ორგანიზმში შეიძლება უკვე შეღწეული იყოს ინფექცია. გაიკლის რამდენიმე დღე და, ვინ იცის, ხომ შეიძლება იფეთქოს დაავადებამ? აკაც არ შეიძლება არავის დავიწყება, არავის გამოტოვება — განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ავადმყოფის გარემო-ჯაჭვის ყოველ რგოლს. სხვაგვარად შეიძლება უბედურება გაიჩრას და მან ახალი მსხვერპლი იპოვნოს. ყოველთვის ადვილი როდი გამოვლინო ის, ვისაც ურთიერთობა ჰქონდა ავადმყოფთან. სახლის მცხოვრებთა, თანამშრომელთა, მთელი საზოგადოებრიობის დახმარება ამ შემთხვევაში ფრიად საჭიროა.

ჩვენს ანტიბიოტიკების ეპოქაში ბევრმა ავადმყოფობამ დაკარგა თავისი ძველი ტრაგიკული ნიშნები და ვლინდება რამდენადმე „მჭრქალი“, ამიტომაც ძნელად გამოსაცნობი ფორმით. სამსახურში, ამ ხანაგი შეუძლოდ გახდა. „ალბათ რაიმე ჭამა და აწყინა. რა საჭიროა უბრალოდ ექიმის შეწუხება?“ გადის ერთი-ორი დღე და თითქოს ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ასეა? მწვავედ გადამდები ავადმყოფობის გარეგნულად იოლად მიმდინარეობის დროსაც კი ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში ინფექციის აღმძვრელები აკეთებენ თავიანთ შავ გამანადგურებელ საქმეთაოს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არ კარგავენ საშიშროებას გარშემო მყოფთათვის. საბოლოო დიაგნოზის დასმა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მიიღებთ სპეციალური ლაბორატორიული ანალიზის შედეგებს. მაგრამ ამისათვის საჭიროა (აუცილებლად საჭიროა!), შეუძლოდ გამხდარმა ადამიანმა დაუყოვნებლივ მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას. ფართო საზოგადოებრიობას შესწევს ძალა — არ გამორჩეს, არ მიჩქმალოს კუჭის მუბუქი აშლილობის შემთხვევაც კი — ეზო-ეზო შემოვლა, გამოკითხვა, თვალყურის დევნება დაგვეხმარება გამოვავლინოთ დაავადება ყველაზე ფარული ფორმით მომდინარეობის დროსაც და იმთავითვე მივიღოთ დასაცავი ღონისძიებანი.

მოსახლეობის მონაწილეობა უნდა ჩანდეს ყველგან, ყოველ უბანზე, სადაც ინფექციამ შეიძლება ხერელი გამონახოს. მკაცრი საზოგადოებრივი ზედამხედველობა, რომელიც შეხამებული უნდა იყოს ხანიტარულ-ეპიდემიური სამსახურის მხრივ კონტროლთან — აი ყველაზე „არახელსაყრელი“ დაბრკოლება მათთვის, ვინც ფიქრობს თავი აარიდოს ჰიგიენური წესების დაცვას.

შეგნებულობა, თავდადება და სამედიცინო განათლებულობა ყოველთვის ახასიათებდა ჯანმრთელობის დაცვის აქტივისტებს. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველა ეტაპზე მედიკების საზოგადოებრივი თანაშემწენი უაქტიურს მონაწილეობას იღებდნენ სახლის ჯანმრთელობის დაცვის საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტაში. და ისინი არც დღეს შეირცხვენენ თავს!

ბ. ზასლავსკელევი.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარული განათლების მთავარი ინსპექტორი.

— ეს რა მოგსვლია ერასტი?
— არაფერი, კაცო, ჩემს ცოლს სანიტარული დღე აქვს.

ნახ. ბ. ფირცხალავასი.

ნაირ-ნაირი

„მექანიზებული ვეგია“

ძალიან გაულიმა ბედმა პენსიონერ ნინო ზაქარიას ასულ ოლეშკოს — სარატოვის ოლქის დაბა ტატიშჩევოს მცხოვრებს. მან ის-ის იყო გარაჟში დააყენა ფულისა და ნივთების ლატარიით მოგებული ახალთახალი „ზაპოროჟეცი“, რომ კვლავ მოიგო „მოსკვიჩ-408“. მაგრამ, როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო. ამახწინათ „მექანიზებულმა ბებიამ“ შეშხახველ სალაროში წარადგინა 1970 წლის მესამე გამოშვების ბილეთი: 250 მანეთი ღირებულების მაცივარი.

ფუზკრების გაზქურაში

ბინდეშის შაქრის ქარხნის მუშა მარიამ პეტრეს ასული ძერვიტი სადილად ელოდა ოჯახს. ერთი წუთით სამზარეულოდან გავიდა, და როცა დაბრუნდა, თვალს არ დაუჯერა: გაზის ჭურის ფურნაკში ფუტკრებს მოეყარათ თავი.

როცა მოყვარული მეფუტკრე ელექტრომექანიკოსი ვიქტორ მოვილუ მოიწვიეს, სწორედ მან გააცალეუფლა მარიამის ქურა ფუტკრებისაგან. საქმე ის არის, რომ ფურნაკში იდო ახლად გამომცხვარი ტკბილი ღვეზელი. ფუტკრებმა სასიამოვნო სუნი იგრძნეს და საკვამურიდან ჩაფრინდნენ. (საკ. კორ.).

ჩემპიონატის ახალი ტური

ვი აგვისტო საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის დღეა „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებისათვის გაიმართება ექვსი მატჩი.

ქუთაისის „ტორპედო“ ამჯერადაც საკუთარ მოედანზე ითამაშებს. მისი მეტოქე იქნება ლენინგრადის „ზენიტი“. დონეცკის „შახტიორი“ უმასპინძლებს მინსკის „დინამოს“. მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან ცსკა და მოსკოვის „დინამო“, ბაქოში პაექრობა ექნებათ „ნეფტჩისა“ და კიევის „დინამოს“, კიევში ითამაშებენ ოდესის „ჩერნომორეცი“ და ორჯონიკიძის „სპარტაკი“, ტაშკენტის „პახტაკორისა“ და როსტოვის სკა-ს მატჩი შედგება ტაშკენტში.

რამდენიმე სტრიქონით

□ **რიგაში** გაიმართა საერთაშორისო მატჩი კრივში ლატვიისა და ბავარიის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ლატვიელებმა 6:3.

□ **იაპონიის** ფრენბურთელმა ქალებმა დაამთავრეს ტურნე პოლონეთში. აქ მათ ხუთი მატჩი გამართეს და ხუთივე მოიგეს. უკანასკნელ შეხვედრაში იაპონელებმა დაამარცხეს პოლონეთის ნაკრები 3:0 (15:11, 15:4, 15:8).

□ **მოსკოვის** „ბურევესტნიკის“ მთამსვლელებმა ტიან-შანის ცენტრალურ მასივში წარმატებით დაამთავრეს მეტად რთული ტრაკერსი.

ა. მეტრეველი— ნახევარფინალში

ნიუ-ჯერსის შტატის საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში დასასრულს უახლოვდება. კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა ჩვენმა თანამემამულემ ა. მეტრეველმა. მეოთხედფინალში მან დაამარცხა ამერიკელი დიკ სტოკტონი 7:5, 7:5 და ნახევარფინალში გავიდა, სადაც შეხვდება მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელს ავსტრალიელ როდ ლეივერს. ო. მოროზოვა მეოთხედფინალში დამარცხდა ავსტრალიელ სმიტ-კურტთან შეხვედრაში 1:6, 4:6.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

ვი აგვისტო

10.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მეშახტის დღე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინოპროგრამა ბავშვებისათვის — „ბატარა სასწაული“, 11.45 — მხატვრული ფილმი — „ვასილოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“, 13.00 — მოსწავლეთათვის — „გაიკეთეთ ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და უკეთესად“ (გადმოცემა ბერლინიდან), 14.00 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ჩემპიონები“, 14.30 — დოკუმენტური ფილმი „დიადი გმირობა“, 15.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.15 — სატელევიზიო ჟურნალი „ჯანმრთელობა“, 17.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — კონცერტი მეშახტეთა დაკვეთით, 18.40 — გადაცემა — „კინოხელოვანთა პორტრეტები“, 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — კინოლექტორიუმი. მხატვრული ფილმი — „ცხოვრობდა ყალთაბანდი“, 21.20 — „მომბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „ცსკა“ — „დინამო“ მოსკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — ფერადი ტელევიზია. „საკუთარ ოჯახში“. სპექტაკლი (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.15 — სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი (გადმოცემა სოპოტიდან).

კინო

ვი აგვისტო

ოქტომბერი — განთავისუფლება (I, II სერია); ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი (საზამთრო), გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, შავშვეთის სახელობის კულტურის სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), სახარული — ბინა; ამირანი (საზაფხულო), საქართველო (მწვანე დარბაზი), ვარძია, ყაზბეგი (მეორე დარბაზი), თბილისი, ოფიცერთა სახლი — ჰამბურგელი პრესის ხელმწიფე; საქართველო (საზაფხულო) — აგენტი უნებლიეთ; ისანი (საზაფხულო) — დედობრივი სიყვარული (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), კოლმეურნე, ეკრანი — მაზანდარანელი ვეფხვი; კოლხიდა (საზაფხულო) — ოჰ, ეს პაპა; ნაკადული — შავი ტიტა.

კომუნისტი

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

საუცხოო ბალი

ყაზახური ხალხური ზღაპარი

□

ცხოვრობდა ოდესღაც ორი ღარიბი მეგობარი — ასანი და ჰასენი. ასანი ერთ ციცქნა მიწას ამუშავებდა, ჰასენი ცხვრის პატარა ფარას მწყემსავდა. ასე შოულობდნენ ლუკმაპაურს. ორივე მეგობარი კარგა ხნის დაქვრივებული იყო. ასანს ლამაზი და ალერსიანი ქალიშვილი ჰყავდა — თავისი ნუციში, ჰასენს კი გონიერი და გამგონე ვაჟიშვილი — თავისი იმედი.

ერთ გაზაფხულზე, ასანი თავის ყანაში წასასვლელად რომ ემზადებოდა, ჰასენს უბედურება ეწია: ცხვარს ჭირი გაუჩნდა, ღატაკს ცხვარი მთლად გაუწყდა.

თვალცრემლიანი ჰასენი, ვაჟიშვილის მხარზე დაყრდნობილი, მეგობართან მივიდა და უთხრა:

— ასან, მოვედი გამოგეთხოვო. ფარა დამეღუპა და შიმშილით სიკვდილი არ ამცდება.

ეს რომ გაიგონა, ასანმა მოხუცი მწყემსი გულზე მიიკრა და უთხრა:

— მეგობარო, ჩემი ნახევარი გული შენ გეკუთვნის, მაშ უარს ნუ მეტყვი, ნახევარი ყანაც შენი იყოს. დამშვიდდი, თოხი აიღე და სამღერით შეუდექი მუშაობას.

მას შემდეგ ჰასენიც მიწის მუშა გახდა.

გადიოდა დღეები, ღამეები, თვეები, გადიოდა წლები. ერთხელ ჰასენი თავის ყანას რომ თოხნიდა, უცებ რაღაც უცნაური წკრიალი შემოესმა. გადათხარა მიწა, და თვალწინ წარმოუდგა პირამდე ოქროთი სავსე ქოთანი.

აღტაცებული ჰასენი ქოთნიანად მეგობრის ჯოხისაკენ გაქანდა.

—გაიხარე, ასან. — იძახოდა იგი, — გაიხარე, ბედნიერება გეწია. შენს მიწაზე ოქროთი სავსე ქოთანი ამოვთხარე. ახლა სამუდამოდ დაიღწიე თავი გაჭირვებას.

ასანმა ალერსით გაულიმა და უპასუხა:

— ვიცი შენი უანგარობა, ჰასენ, მაგრამ ეს ჩემი კი არა, შენი ოქროა. განძი ხომ შენს საკუთარ მიწაზე იპოვნე.

— ვიცი შენი დიდსულოვნება, ასან, — მიუგო ჰასენმა, — მაგრამ მიწა რომ მაჩუქე, ის ხომ არ გიჩუქებია, რაც შიგ იყო.

— ძვირფასო მეგობარო,— უთხრა ასანმა — ყველაფერი, რითაც მდიდარია მიწა, იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც თავისი ოფლითა რწყავს.

დიდხანს იდავეს, და თვითეული გადაჭრით ამბობდა უარს აეღო განძი. ბოლოს ასანმა უთხრა:

— გავათათო, ჰასენ. შენ საცოლო ვაჟი გყავს, მე — გასათხოვარი ქალიშვილი. აკი დიდი ხანია უყვართ კიდეც ერთმანეთი. მოდი დავაჭორწინოთ ისინი და ეგ ოქროც იმათ მივცეთ, იქნებ დაავიწყდეთ ჩვენს შვილებს სიღარიბე.

მეგობრებმა თავიანი გადაწყვეტილება შვილებს რომ გამოუცხადეს, ისინი სიხარულით იქით მისი ოთხი მოწაფე იჯდა.

— რა გაჭირვებამ მოგიყვანათ ჩემთან, კეთილო ადამიანებო? — ჰკითხა ბრძენმა მოხულთ.

და მათ უამბეს თავიანთი ამბავი. ბრძენმა მოუსმინა. დიდხანს დუმდა, შემდეგ კი უფროს მოწაფეს მიუბრუნდა და ჰკითხა:

თქვი, როგორ გადაწყვეტდი ჩემს ადგილზე იმ ხალხის დავას?

უფროსმა მოწაფემ უპასუხა:

— მე ვუბრძანებდი, რომ ხანს წაუღონ ოქრო, რადგანაც ის დედამიწაზე ყველა განძის მფლობელია.

ბრძენმა წარბები შეიჭმუხნა და მეორე მოწაფეს ჰკითხა:

— აბა, შენ რას გადაწყვეტდი, ჩემს ადგილზე რომ იყო?

მეორე მოწაფემ უპასუხა:

— მე ოქროს ჩემთვის წაკეიღებდი, რადგან ის, რაზეც უარს ამბობს მომჩივანიც და მოპასუხეც, კანონით მოსამართლეს ერგება.

კიდევ უფრო მოიჭმუხნა ბრძენი, მაგრამ მაინც შშიდად შეეკითხა მესამე მოწაფეს:

— გეითხარი, შენ როგორ გადაწყვეტდი?

მესამე მოწაფემ თქვა:

— რაკი ეს ოქრო არავის არ ეკუთვნის და ყველანი უარს ამბობენ მასზე, მე ვუბრძანებდი ისევ ჩაფლან მიწაში.

მთლად მოიღუშა ბრძენი და ჰკითხა მეოთხე, ყველაზე უმცროს მოწაფეს:

— შენ რაღას იტყვი, შვილო?

—მოძღვარო,—უპასუხა უმცროსმა მოწაფემ, — ნუ გამირისხდები და მაპატიე ჩემი მიამიტობა, მაგრამ ჩემმა გულმა ჩემ მაგიერ ასე გადაწყვიტა: ამ ოქროს ფასად ტრიალ მინდორში დაბურულ ბაღს გაგაშენებდი, რომ იქ დასვენება და ნაყოფით დატკბობა შეეძლოს ყველა მაშვრალ ღარიბს.

ამ სიტყვებზე ბრძენი ადგილიდან წამოდგა და თვალცრემლიანი გადაეხვია ჭაბუკს.

— ჭეშმარიტად მართალი ბრძანეთ ისინი, — თქვა მან,— ვინც ამბობს: „პატივი ეც ახალგაზრდას, როგორც მოხუცს, თუ ის ჭკვიანია“. შენ სამართლიანად განსაჯე, შვილო! მაშ აიღე ეს ოქრო, წადი ხანის სატახტო ქალაქში, იყიდე იქ საუკეთესო თესლი და რომ დაბრუნდები, გააშენე ბაღი. დაე მარად დარჩეს ღარიბებში ხსოვნა შენი და ამ დიდსულოვანთა ადამიანებისა, რომლებიც არ დახარბდნენ ესოდენ დიდ სიმდიდრეს.

ჭაბუკმა მაშინვე ჩაუწყო განძი გუდაში, მხრებზე მოიგდო და გზას გაუდგა.

დიდხანს იარა მინდორ-მინდორ და ბოლოს მიაღწია ხანის სატახტოს. ქალაქში მაშინვე ბაზარს მიაშურა და დაუწყო ძიებნა ხეხილის თესლით მოვაჭრეებს.

ნახევარ დღეს ამაოდ იარა, ათვალიერებდა დუქნებთან გამოლაგებულ საგნებს და თვალსიმამჭრელ ჭსოვილებს. უეცრად შემოესმა ზანზალაკების წკარუნი და ფრინველთა ხმიანობა. ჭაბუკმა მიიხედა: საბაზრო მოედანზე გადიოდა საოცარი ქარავანი. საქონლის ბარდანების ნაცვლად აქლემებს ეკიდა ცოცხალი ფრინველები, რომლებსაც ფესვები შეკრული ჰქონდათ, ფრთები კი გასწეწოდათ და უმწეოდ, ჩვრებივით ჩამოშვებოდათ. ქარავნის ყოველი მოძრაობისას ფრინველები აქლემების გვერდებს თავით ეხეთქებოდნენ და საცოდავად წიოდნენ. ჭაბუკს გული შეეკუმშა სიბრალულისაგან. მთელი ოქრო მექარავნეებს მისცა, ფრინველები გამოისყიდა და გაუშვა.

თავისუფლება რომ იგრძნეს, ისინი მაშინვე აფრინდნენ. ისე ბევრნი იყვნენ, რომ იმ წუთს დღე ღამედ იქცა და მათი ფრთების ტლაშუნისაგან მიწას ქარიშხალმა გადაუარა.

ჭაბუკი დიდხანს ადევნებდა თვალს განთავისუფლებულ ფრინველებს.

ღამე ველზე გაატარა. დილით რომ გაიღვიძა, გაოცდა: ირგვლივ მთელი ვრცელი მინდორი დაფარული იყო ფრინველებით, როგორიც კი შეიძლება ნახო დედამიწაზე.

ფრინველები ფეხებით პატარა ორმოებს თხრიდნენ, იქ ნისკარტით თესლს აგდებდნენ და ფრთებით მიწას აყრიდნენ.

ჭაბუკი გაინძრა თუ არა, ფრინველები მყისვე აფრინდნენ. და კვლავ დღე ღამედ იქცა და ფრთების ტლაშუნისაგან მიწას ქარიშხალმა გადაუარა...

ხოლო როცა ყველაფერი მიწყნარდა, ფრინველებისაგან ამოთხრილი თვითეული ორმოდან უცებ ამოიზვარა მწვანე ყლორტები. ისინი სულ მალე გაიზარდნენ და მალე გადაბიჭნენ ხასხასა ფოთლებითა და ოქროს ნაყოფით დაფარულ ხეებად.

მალე მთელ იმ არემარეს მოვდო საუცხოო ბაღის ამბავი. ბაღთან პირველნი მიიკრნენ „ძვალთეთრი“[1] მხედრები. მაგრამ როგორც კი მიაღწიეს ბაღის ნაპირს, მათ წინ აღიმართა მაღალი ზღუდე, შეიდსაკეტანი რკინის ჭიშკრით. მაშინ ისინი მოსირმეულ უნაგირებზე შედგნენ და სცადეს ზღუდიდან მისწვდომოდნენ ოქროს ვაშლებს. მაგრამ ყოველი მათგანი, ვინც ნაყოფს შეეხებოდა, უეცრად კარგავდა ძალას და მიწაზე ვარდებოდა. მხედრებმა ეს რომ დაინახეს ცხენები გააბრუნეს და თავიანთ აულებში გაეშურნენ.

მათ შემდეგ ბაღისაკენ ყოველი მხრიდან გაემართნენ ღარიბები. მათი მოახლოებისას რკინის ჭიშკარს კლიტეები დასცვივდა და ჭიშკარი ფართოდ გაიღო. ბაღი ხალხით ავსო. აქ იყო ქალი და კაცი, ღიდი და პატარა. ისინი დადიოდნენ ლამაზ ყვავილებზე, და ყვავილები არ ჭკნებოდა. სვამნენ წყალს, გამკვრა არხებიდან, და წყალი არ იმღვრეოდა, კრეფდნენ ნაყოფს ხეებზე და ნაყოფი არ კლებულობდა. მთელ დღეს არ შემწყდარა ბაღში დიმბრის წკრიალი, მხიარული საუბარი, სიცილ-კისკისი.

ხოლო როცა მოსაღამოვდა და მიწაზე სიბნელე ჩამოწვა, გაშლებიდან ნაზი შუქი გამოკრთა და ფრინველებმა ნაზი და ტკბილი ლაღობა იწყეს. მაშინ ღარიბები ხელჩაკიდებულ სურნელოვან ბალახზე წამოწვნენ და ტკბილად დაიძინეს. თავიანთ სიცოცხლეში პირველად იყვნენ ბედნიერნი.

[1] „ძვალთეთრი“ — ყაზახი დიდკაცობა, მდიდარი ფეოდალები.

კომუნისტი

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-33, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 УЗ 04396

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.